



ანგარიში

პირველი კვარტალი. 2016 წ.

სარჩევი:

მარკეტინგი და პოპულარიზაცია..... 3 გვ.

ექსპორტი.....
..10 გვ.

ქართული ვაზისა და კულტურის კვლევა..... 11 გვ.

ვენახების კადასტრი.....
13 გვ.

დეგუსტაციები.....
14 გვ.

სერტიფიცირება.....
14 გვ.

სახელმწიფო კონტროლი და ინსპექტირება..... 15 გვ.

ანგარიში

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიმართულებას ქართული ღვინის პოპულარიზაცია, მევენახეობა-მელვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე გრუნვა და ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს.

საანგარიშო პერიოდში სააგენტო გემოთ ჩამოთვლილ საქმიანობას სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მუდმივი კონტაქტის, ასევე მელვინეობის სფეროში მოქმედ სამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო კომპანიებთან თანამშრომლობის რეჟიმში ახორციელებდა.

მიმდინარე წლის პირველი კვარტლის საქმიანობა მოიცავდა შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

მარკეტინგი და პოპულარიზაცია; ქართული ღვინის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია; კონტროლი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებზე და ღვინის ბრენდებზე; სამომხმარებლო ბაზრის დაცვა და ბაზრის ხარისხიანი და ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან; მევენახეობის კადასტრის პროგრამის განხორციელება და დარგთან დაკავშირებული სხვა სამარკეტინგო და ადმინისტრაციული ღონისძიებები.

მარკეტინგი და პოპულარიზაცია

საანგარიშო პერიოდში ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით ღონისძიებები გაიმართა საქართველოში და საზღვარგარეთის 6 ქვეყანაში: ჩინეთი, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია, პოლონეთი და აშშ.

გერმანია

15-24 იანვარს, გერმანიის დედაქალაქ ბერლინში სურსათის, სოფლის მეურნეობისა და მებაღეობის ყველაზე მასშტაბური და პრესტიჟული საერთაშორისო გამოფენა "მწვანე კვირეული 2016" (Grüne Woche 2016) გაიმართა. გამოფენის გახსნას საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიაში, ლადო ჭანტურია და ქართული დელეგაციის წევრები დაესწრნენ. Grüne Woche 2016-ზე საკუთარი პროდუქცია წარადგინეს ქართულმა ღვინის კომპანიებმა: „ქიმერიონი“, „ჩელთი“, „ტიბანელი“, „ბადაგონი“, „მილდიანი“, „კორპორაცია ქინძმარაული“, „შუხმან ვაინსი“ და „კახური“.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ქართული პროდუქციის პოპულარიზაციას საერთაშორისო ბაზრებზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ბერლინის საერთაშორისო გამოფენა კი, სოფლის მეურნეობის მიმართულებით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და პრესტიჟულია. წელს, Grüne Woche 2016-ში 65 ქვეყნის 1600-მდე კომპანია მონაწილეობდა, ვიზიტორთა რაოდენობა 400 ათასს აღემატებოდა.

საფრანგეთი

ქართული ქვევრის ღვინო 26 იანვრიდან 2 თებერვლის ჩათვლით პარიზში, ბლუაში, ანჟეში, სომურსა და ორლეანში იყო წარდგენილი. ღვინის პროფესიონალებს, მოყვარულებს, მედიისა და ბიზნესის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ

დაეგემოვნებინათ შემდეგი მწარმოებლების ღვინოები: „იაგოს ღვინო“, „ხოხბის ცრემლები“, „რამაზ ნიკოლაძის მარანი“, „ოქროს ღვინო“, „მელვინეობა ნიკი ანთაძე“, „ნათენაძის ღვინის მარანი“ და „მარიამ იოსებიძის ღვინო“.

ქალაქ სომურში გამართულ ბუნებრივი ღვინოების გამოფენას “La Dive Boutteille”, საფრანგეთში საქართველოს ელჩი ეკატერინე სირაძე-დელონე და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი დაესწრნენ. ორდღიან გამოფენაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ასობით მეღვინე მონაწილეობდა.

საფრანგეთში საქართველოს ელჩის განცხადებით, მსგავს ღონისძიებებში ქართული ღვინის წარდგენით იზრდება შესაძლებლობა, რომ საქართველო სულ უფრო მეტმა ადამიანმა გაიცნოს როგორც ღვინის მწარმოებელი ქვეყანა.

ქვევრის ღვინის მწარმოებლები ასევე მონაწილეობდნენ ქალაქ ანჟუში ჩატარებულ ბუნებრივი ღვინოების გამოფენაში „Les Penitentes“. აღნიშნულ გამოფენებზე ქართული ღვინო წარდგენილი იყო მსოფლიოს მეღვინეობით სახელგანთქმული ისეთი ქვეყნების გვერდით, როგორცაა საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი.

ქვევრის ღვინის მწარმოებელი კომპანიები აღნიშნულ გამოფენებზე გასულ წლებშიც მონაწილეობდნენ. ქართველი მეღვინეების განცხადებით, ანჟესა და სომურის ტრადიციულმა გამოფენებმა მათ მნიშვნელოვანი იმპორტიორები შესძინა.

“La Dive Boutteille” და „Les Penitentes” საფრანგეთში ითვლება წლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად ბუნებრივი მეღვინეობის სფეროში, რომელსაც მსოფლიოში ცნობილი ნატურალისტი მეღვინეები, სხვადასხვა ქვეყნის ღვინის იმპორტიორები, ბაიერები, მედიის წარმომადგენლები და სომელიეები ესწრებიან.

გამოფენებთან ერთად ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა პარიზში, ბლუასა და ორლეანში სპეციალიზირებულ ღვინის მაღაზიებსა და ბარებში. დეგუსტაციას უძღვებოდნენ ფრანგი სომელიე სებასტიან შატილონი და ფრანგი მეღვინე ტიერი პუბლა. ქვევრის ღვინომ ადგილობრივი ღვინის იმპორტიორების, ღვინის მაღაზიებისა და რესტორნების წარმომადგენლების, ასევე ღვინის მოყვარულების დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

იაპონია

8-11 მარტს იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში კვების პროდუქტებისა და სასმელების 41-ე საერთაშორისო გამოფენა „FOODEX JAPAN 2016“ გაიმართა, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტოსა და იაპონიაში საქართველოს საელჩოს ხელშეწყობით, წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 8 კომპანია: „კახური“, „შუმი“, „კახური ღვინის მარანი“, „ქიმერიონი“, „თელავისღვინის მარანი“, „მელვინეობა ხარება“, „ვაზიანი კომპანი“ და „კახური ტრადიციული მელვინეობა“.

გამოფენის გახსნას საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იაპონიაში ლევან ცინცაძე და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი დაესწრნენ.

გერმანია

13-15 მარტს გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ყოველწლიური საერთაშორისო გამოფენა ProWein-2016 ჩატარდა, სადაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ღვინის ეროვნული სააგენტოს, ასოციაცია „ქართული ღვინო“-ს და „კახეთის მელვინეთა გილდიას“ მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 15 კომპანია მონაწილეობდა.

გამოფენის გახსნას საქართველოს ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ლადო ჭანტურია დაესწრო.

ProWein 2016-ის დამთვალიერებელთა მხრიდან ქართული ღვინის მიმართ ინტერესი საკმაოდ დიდი იყო. გამოფენის სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ შემდეგი ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიების ღვინოებს: „თბილღვინო“, „შატო მუხრანი“, „თამადა“, „კახური ტრადიციული მელვინეობა“, „კონჭო და კომპანია“, „კორპორაცია ქართული ღვინო“, „ბაგრატიონი 1882“, „ვაზიანი კომპანი“, „ვაინმენი“, „მელვინეობა ხარება“, „კორპორაცია ქინძმარაული“, „თელავის ღვინის მარანი“, „კახური“, „ბესინი“ და „თელიანი ველი“.

ქართული კომპანიების წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს ღვინის ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი და ბაზრების კვლევის საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, აგრეთვე იმ კომპანიების ხელმძღვანელობასთან, რომლებიც ქართული ღვინის პოპულარიზაციას ეწევიან.

ჩინეთი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ლუჭოუში 19-21 მარტს გამართულ ღვინის საერთაშორისო გამოფენაზე „Tenth China International Wine Fair (CIADE 2016)“ საქართველო საპატიო სტუმრის სახელით მონაწილეობდა.

გამოფენა გახსნა და შემდგომ ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებს ქართულ სტენდთან უმასპინძლა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, გიორგი სამანიშვილმა. გამოფენის ფარგლებში გაიმართა ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია, რომელსაც უძღვებოდნენ სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი გიორგი სიხარულიძე და ჩინეთის ერთ-ერთი წამყვანი სომელიე ქსიუ რენქინგი (Xu renqing).

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი ქართული კომპანიების ღვინოები: „მელვინეობა ხარება“, „ბაგრატიონი 1882“, „დუგლაძეების ღვინის კომპანია“, „თელიანი ველი“, „შატო მუხრანი“, „თელედა“, GWS და „ბოლერო“.

20-26 მარტს სიჩუანის პროვინციის ქალაქ ჩენგდუში „ღვინისა და საკვების საერთაშორისო გამოფენა“ (The 94th China Food & Drinks Fair) გაიმართა, სადაც მასშტაბურად იყო წარმოდგენილი ქართული ღვინო. გამოფენას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი დაესწრო, რომელმაც ჩინეთში ვიზიტის დროს შეხვედრები გამართა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. აღნიშნული გამოფენა ტარდება 1955 წლიდან და მიჩნეულია უმნიშვნელოვანეს გამოფენად ჩინეთში. მასში ყოველწლიურად მონაწილეობს ათეულ ათასობით ვიზიტორი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, რაც იძლევა

საუკეთესო შესაძლებლობას, რომ ქართული ღვინო უფრო ცნობადი და პოპულარული გახდეს სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ბაზარზე.

ჩენგდუს გამოფენა განსხვავებულია თავისი ფორმატით და ტარდება ორ ეტაპად. პირველი ნაწილი, გაიმართა 20-23 მარტს ერთ-ერთ სასტუმროში, რომელსაც დაესწრნენ მხოლოდ კომერციული პირები. 24-26 მარტს კი გამოფენამ გადაინაცვლა ძირითად საგამოფენო სივრცეში. აღნიშნულ გამოფენაზე მონაწილეობას იღებდა 15 ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანია: „თელავის ღვინის მარანი“, „თბილღვინო“, „ბატონო“, „თელიანი ველი“, „დუგლადეების ღვინის კომპანია“, „ასკანელი ძმები“, „ქართული ღვინის სახლი“, „შალვინო“, „ბაგრატიონი 1882“, „მელვინეობა ხარება“, „ქიმერიონი“, „ტიფლისკი ვინნი პოგრებ“, „ვაზიანი კომპანი“, „კორპორაცია ქინძმარაული“ და „კახური ტრადიციული მელვინეობა“ (KTW).

მარტის თვეში ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, პეკინში რამდენიმე ღონისძიება გაიმართა. ერთ-ერთი იყო ქართული ღვინისა და კულინარიის საღამო, რომელიც ჩინეთში ქართული ღვინის პოპულარიზაციის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა. ქართული ღვინისა და სამზარეულოს წარდგენას ათეულობით ჩინელი და უცხოელი სტუმარი დაესწრო.

კიდევ ერთ ღონისძიებაზე - ჩინეთში ქართული ღვინის დისტრიბუტორი კომპანიის ორგანიზებით ჩატარებულ ქართული ღვინის სადეგუსტაციო-საგანმანათლებლო სემინარზე, ღვინის ეროვნული სააგენტოს სპეციალურმა წარმომადგენელმა ჩინეთში მაია ცქიტიშვილმა ქართული ღვინის პრეზენტაცია გამართა.

ქართული ღვინის დეგუსტაცია პეკინის ჯაზ-სალონშიც გაიმართა. ღვინისა და ჯაზის მოყვარულ ჩინელ და უცხოელ სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ ქართულ ღვინოსა და კულტურას.

აშშ

აქტიური იყო თებერვალ-მარტის თვე აშშ-ში, სადაც სააგენტო მიმდინარე წელს ღონისძიებებს სხვადასხვა მიმართულებით გეგმავს. სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Georgian house of Greater Washington, LLC“ ორგანიზებით თებერვალსა და მარტში სხვადასხვა ღვინის მაღაზიაში 8 დეგუსტაცია გაიმართა სახელწოდებით „აღმოაჩინე ქართული ღვინო“, სადაც ღვინოსთან ერთად წარმოდგენილი იყო ქართული სამზარეულოც. ქართული ღვინის დეგუსტაციები იმართებოდა ვაშინგტონში.

პოლონეთი

30 მარტს ვარშავაში სააგენტოს კონტრაქტორმა კომპანია „Vinisfera“-ს დირექტორმა მარიუს კაპჩინსკიმ ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია გამართა. ღონისძიებას დაესწრნენ ადგილობრივი იმპორტიორები, ღვინის მაღაზიებისა და რესტორნების წარმომადგენლები. დეგუსტაციის კონცეფცია იყო ქართული ღვინისა და პოლონური სამზარეულოს ტანდემი. სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ შემდეგი ქართული კომპანიების ღვინოები: ‘მუხმან ვაინს ჯორჯია’, „შატო მუხრანი“, „ვაზიანი კომპანი“, „თელავის ღვინის მარანი“, „ქინძმარაულის მარანი“, „კორპორაცია ქინძმარაული“, „არჩილი გუნიავას მარანი“, „ბექა გოცაძის მარანი“ და „ნიკა ბახიას მარანი“.

საქართველო

10 თებერვალს სსიპ ღვინის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი სამანიშვილმა და ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ მოაწერეს.

მემორანდუმი ითვალისწინებს თანამშრომლობის განმტკიცებასა და ურთიეთსაქმიანობის ხელშეწყობას ქართული ვაზისა და ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით.

მემორანდუმის თანახმად, ღვინის ეროვნული სააგენტო და ეროვნული ბიბლიოთეკა ორგანიზებას გაუწევენ ერთობლივი კულტურული ღონისძიებებს, მხარს დაუჭერენ ერთობლივი პროექტების დაგეგმვა-განხორციელებას, ბიბლიოთეკა ღვინის ეროვნულ სააგენტოს უსასყიდლოდ დაუთმობს საგამოფენო და საკონფერენციო დარბაზებს, გაუზიარებს საკუთარ ფონდებში დაცულ მევენახეობისა და მეღვინეობის ლიტერატურას. თავის მხრივ, სააგენტო გამოთქვამს მზადყოფნას გაუზიაროს ეროვნულ ბიბლიოთეკას მის საკუთრებაში არსებული ორიგინალური ლიტერატურა.

ექსპორტი

წლის დასაწყისში ექსპორტის ზრდა რამდენიმე მიმართულებით დაფიქსირდა. დასტაბილურდა ექსპორტი ორ უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყანაში - რუსეთსა და უკრაინაში, სადაც 2015 წელს რთული ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გამო ექსპორტმა მნიშვნელოვნად იკლო.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2016 წლის იანვარ-მარტში საქართველოდან მსოფლიოს 26 ქვეყანაში ექსპორტირებულია 7 694 748 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 51%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. სულ ექსპორტირებულია 18 144 738 აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 20%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.

ამასთან, მსოფლიოს 10 ქვეყანაში ექსპორტირებულია 2 193 395 ბოთლი ბრენდი, რაც 116%-ით აღემატება 2015 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. ექსპორტირებულია 5 046 166 აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი - მატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 70%-ს აღწევს.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული: რუსეთი - 4 077 797, უკრაინა -1 088 862, ყაზახეთი - 784 844, პოლონეთი - 443 208 და ჩინეთი - 371 295 ბოთლი.

საანგარიშო პერიოდისთვის ექსპორტის მატება დაფიქსირდა: რუსეთი - 124%, უკრაინა - 66%, პოლონეთი - 26%, ლიტვა - 34% (137 448 ბოთლი), ყირგიზეთი - 70% (67 746 ბოთლი), აშშ - 19% (62 448 ბოთლი), გერმანია - 89% (80 814 ბოთლი), ჩინეთი - 2%, ბელარუსი - 297% (61 920 ბოთლი), დიდი ბრიტანეთი - 40% (21 432 ბოთლი) და სხვა

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 33,1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა.

ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო პროექტი

29 თებერვლიდან 3 მარტის ჩათვლით თბილისში ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო პროექტის 2015 წლის საქმიანობის შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით გალეგაშვილი, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი, ასოციაცია „ქართული ღვინო“-ს აღმასრულებელი დირექტორი თინა კებელი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი დავით ლორთქიფანიძე, პროექტის კოორდინატორი დავით მალრაძე, ასევე ქართველი და უცხოელი მეცნიერები.

შემაჯამებელი შეხვედრის პირველი და მეორე დღე 2015 წლის საქმიანობის პრეზენტაციებს დაეთმო, შემდგომ დღეებში მუშაობა გაგრძელდა სხვადასხვა თემატურ ჯგუფში. საქართველოში სტუმრობის პერიოდში სტუმრებმა დაათვალიერეს ღვინის ეროვნულ სააგენტოში განთავსებული ღვინის ცენტრი, სოფლის მეურნეობის

სამცენიერო-კვლევითი ცენტრის ჯილაურას სანერგე მეურნეობა, სადაც ასევე გაიმართა ქართული ღვინოების დეგუსტაცია.

ქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოები დადებითად შეაფასა.

სააგენტომ „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევისა და პოპულარიზაციის“ პროექტი 2014 წელს დაიწყო, რომლის განხორციელება მიზნად ისახავს საქართველოს, როგორც მევენახეობისა და მეღვინეობის უძველესი ტრადიციების მქონე ქვეყნის წარმოჩენას, მისი ისტორიის უწყვეტობის აღდგენას, მდიდარი მემკვიდრეობის ჩვენებას ქართველი და უცხოური ინსტიტუტებისა და მკვლევარების ერთობლივი კვლევების შედეგად.

პროგრამა 3-წლიანია და მის ფარგლებში ხორციელდება ახალი არქეოლოგიური გათხრების ხელშეწყობა, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ვაზის ნაშთების სისტემატიზაცია, დათარიღება და ანალიზი, მევენახეობა-მეღვინეობის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის წარმოჩენა, თანამედროვე მევენახეობა-მეღვინეობის დარგის ანალიზი და ა.შ.

2015 წელს შესრულებული სამუშაოებიდან აღსანიშნავია ორი არქეოლოგიური ექსპედიცია „შულავერის კულტურის“ ძეგლზე სახელწოდებით „გადაჭრილი გორა“, სადაც მოპოვებულია საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული არტეფაქტები, ლაბორატორიულად შესწავლილია „გადაჭრილი გორის“ არქეოლოგიური ძეგლზე და „თრელიგორების“ არქეოლოგიური მარნიდან წარმოებული გათხრების დროს მოპოვებული არქეობოტანიკური და პალეობოტანიკური მასალა, ვეისმანის უნივერსიტეტის (ისრაელი) ლაბორატორიაში განხორციელდა ვაზის წიპნის 6 ნიმუშის დათარიღება, დანიის უნივერსიტეტის „GeoGenetics“ ლაბორატორიაში გაიგზავნა ვაზის წიპნები სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლებიდან და ა.შ.

პროექტი მრავალპროფილურია და ატარებს სამცენიერო ხასიათს. მის მენეჯმენტს ახორციელებს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო, მასში ჩართულები არიან ქართული

და უცხოური ინსტიტუტები და მკვლევარები, სხვადასხვა დარგის მეცნიერები: გენეტიკოსები, არქეოლოგები, აგრონომები, ისტორიკოსები, ეთნოგრაფები და ა.შ. მათ შორის, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საფრანგეთის აგრარული კვლევების ეროვნული ინსტიტუტი, მილანის უნივერსიტეტი, ტორონტოს უნივერსიტეტი, აშშ-ის პენსილვანიის უნივერსიტეტის ლაბორატორია და ა. შ.

ვენახების კადასტრის პროგრამა

ღვინის ეროვნულმა სააგენტომ ვენახების უწყებრივი კადასტრის პროგრამის განხორციელება 2014 წელს რაჭა-ლეჩხუმის რეგიონიდან დაიწყო.

კადასტრის სისტემა ეფექტურად მუშაობს ევროკავშირის ყველა იმ ქვეყანაში, სადაც მევენახეობა-მეღვინეობაა განვითარებული. საქართველოში ანალოგიური სისტემა აქამდე არ არსებობდა. საკადასტრო ბაზის არსებობა აუცილებელია ვენახების აღრიცხვიანობის მონესრიგებისათვის, მევენახეობა-მეღვინეობის დარგში გადანყვეტილებების მისაღებად, რთველის პროცესის სწორად დაგეგმისთვის, ღვინის წარმოებისა და მისი მოძრაობის კონტროლირებისათვის, ზოგადად - მევენახეობა-მეღვინეობის სფეროს რეგულირებისათვის.

ვენახების კადასტრი მოიცავს ვენახების ფართობების რეესტრებს, ინფორმაციას ვენახებში გაშენებული ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობისა და მდგომარეობის შესახებ.

კადასტრის სისტემის საფუძველია ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს გეოგრაფიულ-საინფორმაციო სისტემაზე (GIS) დაფუძნებულ სატელიტურ რუკებს.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

პორტუგალიელ ექსპერტთან ანა იზაბელ ლუჟთან ერთობლივი მუშაობის შედეგად შემუშავდა სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს

საკადასტრო სამუშაოები 2016 წლის განმავლობაში. კერძოდ, 2016 წლის რთველის პერიოდში ვენახის კადასტრზე დაფუძნებული მოსავლის დეკლარაცია უნდა ამუშავდეს ღვინის 3 რეგიონისთვის; უნდა მოხდეს მონაცემების შევსება არსებული მონაცემთა ბაზისთვის და კახეთის ახალი რეგიონებისთვის; ვენახის კადასტრის დასრულება რაჭა-ლეჩხუმში, საანკეტო ე.წ. „ალფანუმერული“ მახასიათებლების სრულყოფა, საკადასტრო აქტივობების დაწყება თელავში და გურჯაანში (გრაფიკული და ალფანუმერული მახასიათებლები). მიღწეულია შეთანხმება „რთველის პროგრამის“ და „კადასტრის პროგრამის“ ერთმანეთთან დაკავშირებული ფუნქციონირების შესახებ. აგრეთვე, განხორციელდა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკადასტრო მონაცემების სტატისტიკური ანალიზი - კერძოდ, დამუშავდა ინფორმაცია ვენახის ფართობების და ჯიშების შესახებ.

დეგუსტაციები

ღვინის ეროვნული სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიამ საანგარიშო პერიოდში ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების ორგანოლექტიკური ტესტირების მიზნით 23 დეგუსტაცია ჩაატარა. სულ წარმოდგენილი იყო 433 ნიმუში, მათგან 11 იყო შეჩერებული.

სერტიფიცირება

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სხვადასხვა ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელ კომპანიაზე სერტიფიცირების სამმართველოს მიერ გაცემულია სულ - 1566 ცალი საექსპორტო სერტიფიკატი.

მათ შორის:

შესაბამისობის სერტიფიკატი - 717 ცალი (ყოფილი დსთ-ს და მე-3 ქვეყნებზე)

ინსპექტირება

პირველ კვარტალში სახელმწიფო კონტროლი განხორციელდა შემდეგ ღვინის საწარმოებში: შპს „შატო ხვანჭკარა“, შპს „ქინძმარაულის მარანი“, შპს „შატო მუკუზანი“ და “Wine Products & Spirits”.

საანგარიშო პერიოდში საინსპექციო კონტროლი განხორციელდა 12 ღვინის საწარმოში: შპს „ბოლერო“, შპს „მარნის კარი“, შპს „ტიფლისსკი ვინი პოგრებ“, შპს „თელავის მარანი“, შპს „ბატონო“, „ვაზიანი კომპანი“, შპს „კახეთი-კ“, სს „თბილღვინო“, შპს დუგლაძეების ღვინის კომპანია“, სს „თელიანი ველი“, შპს „წინანდლის ძველი მარანი“ და შპს „შუმი“